



2 დეკემბერი

მნიშვნელოვანი თარიღები

დეკემბერი

- . 13-17 დეკემბერი - საშობაო და საახალწლო ნამუშევრების გამოფენა;
- . 1-15 დეკემბერი - საახალწლო საქველმოქმედო ღონისძიება
- . 16 დეკემბერი - 9:00 -9:30 საათი - სკოლამდელი განათლების ცენტრის საშობაო სპექტაკლი
- . 16 დეკემბერი - 14:30-16:00 საათი - X-XII კლასელი მოსწავლეების დაჯილდოების ცერემონია;
- . 17 დეკემბერი - 13:30 - 14:00 სთ I საშობაო კონცერტი (I ნითელი, II ნითელი, III ლურჯი, IV ნითელი, V ნითელი);
- . 17 დეკემბერი - 15:00 - 15:30 სთ - II საშობაო კონცერტი (I ლურჯი, II ლურჯი, III ნითელი, IV ლურჯი, V ლურჯი);
- . 17 დეკემბერი - ბოლო სასწავლო დღე სკოლის კამპუსზე;
- . 20-21 დეკემბერი - მშობლებთან და მოსწავლეებთან მასწავლებლების ინდივიდუალური შეხვედრები;
- . 22 დეკემბერი -10 იანვარი - ზამთრის არდადეგები;

ინავარი

- . 11 იანვარი - 4 თებერვალი - პირველი სემესტრი;

თებერვალი

- . 7 თებერვალი - მეორე სემესტრის დასაწყისი

ძვირფასო მშობლებო, მოგესხენებათ, ბრიტანულ-ქართულ-აკადემიაში დასასრულს უახლოვდება საერთაშორისო ბაკალავრიატის სადიპლომო პროგრამისთვის გამოყოფილი საკონსულტაციო პერიოდი. ავტორიზაციის მისაღებად, აკადემია, როგორც კანდიდატი სკოლა, უნდა აკმაყოფილებდეს რიგ საგანმანათლებლო სტანდარტებს. განსხვავებით MYP პროგრამისგან, DP პროგრამის სწავლება დაიწყება მხოლოდ მას შემდეგ, რაც აკადემია მიიღებს ავტორიზაციას და გახდება IB World School-ის წევრი.

საკანდიდატო ეტაპზე საკონსულტაციო პროცესი სკოლისათვის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ფაზას წარმოადგენს, რაც გულისხმობს წლის განმავლობაში რამდენიმე საათიან დისტანციურ კონსულტაციებსა და ადგილზე ვიზიტს. პანდემიური მდგომარეობის გათვალისწინებით, პირველი საკონსულტაციო ვიზიტი სკოლის კამპუსის ნაცვლად დისტანციურად შედგება. ვიზიტი დაგეგმილია დეკემბრისთვის დასაწყისში და მოიცავს სხვადასხვა ფორმატის შეხვედრებს ყველა დაინტერესებულ მხარესთან, ასევე, სკოლის კამპუსის ვირტუალურ დათვალიერებას და სკოლის ძირითადი დოკუმენტების განხილვას.

დაგეგმილი ვიზიტისათვის სკოლა აქტიური მზადების პროცესშია და წარმატებით ანახლებს აკადემიის მნიშვნელოვან დოკუმენტებსა და პოლიტიკას. პირველ ეტაპზე ჩვენ ბრიტანულ-ქართული აკადემიის მისია განვიხილეთ, რომლის განახლებული ვერსია

თქვენც გამოგიგზავნეთ. აღსანიშნავია, რომ სასკოლო საზოგადოების თითოეულ წევრს ჰქონდა შესაძლებლობა აქტიურად ჩართულიყო ამ პროცესში, რამაც ვფიქრობ მისიის შინაარსი უფრო ზუსტი გახადა და უკეთ გამოსახა სასკოლო მიზნები. ამჟამად ჩვენ ვმუშაობთ ისეთ მნიშვნელოვან დოკუმენტებზე როგორცაა, შეფასების, აკადემიური პატიოსნების, ენისა და სკოლაში მიღების პოლიტიკები. აღნიშნული დოკუმენტები უახლოეს მომავალში ხელმისაწვდომი იქნება ყველა დაინტერესებული პირისათვის და ამასთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების თითოეულ წევრს წინასწარ ეცნობება.

მოსამზადებელი პერიოდის მნიშვნელოვანი ნაწილი პროფესიულ განვითარებას ეთმობა. აკადემიური გუნდის ათმა წევრმა უკვე დაასრულა DP-ის პირველი კატეგორიის ტრენინგები თავიანთ საგნობრივ დარგებში, რომელიც ფოკუსირებული იყო ერთი თვის განმავლობაში, სულ მცირე 20 საათიანი სემინარების საშუალებით IB ფილოსოფიის გააზრებასა და პროგრამის წარმატებით დანერგვის შესახებ ინფორმაციის მიღებაზე.

საკანდიდატო ეტაპის უმნიშვნელოვანეს ფაზას DP პროგრამის შესახებ ცნობიერების ამაღლება წარმოადგენს. აკადემიის მეათე კლასელებმა, ვინაიდან სწორედ ისინი იქნებიან DP პროგრამის პირველი ნაკადი, უკვე დაიწყეს IB დიპლომის პროგრამის ძირითადი მიმართულებების - Theory of Knowledge (TOK), Creativity, Activity and Service (CAS) და the Extended Essay (EE) შესწავლა და გაცნობა. აღნიშნული მიმართულებები ემატება ექვს საგნობრივ ჯგუფს, რომელიც პროგრამის უფრო ტრადიციულ მხარეს წარმოადგენს და მიზნად ისახავს მოსწავლეებში საგანმანათლებლო გამოცდილებების გაფართოებას.

ავტორიზაციის პროცესის სრული სურათის უკეთ აღსაქმელად შემიძლია ვთქვა, რომ IB პროგრამის კონსულტატთან კომუნიკაცია ძალიან პოზიტიურად მიმდინარეობს, სკოლა აკმაყოფილებს პროგრამის დანერგვისათვის საჭირო ყველა სტანდარტს და დარწმუნებული ვარ, რომ სწორი მიმართულებით მივდივართ. საკონსულტაციო ვიზიტის დასრულების შემდეგ, ჩვენ მივიღებთ IB კონსულტანტის რეკომენდაციებს, რომელიც სკოლამ ავტორიზაციის მიღებამდე უნდა განიხილოს და შეასრულოს.

ვფიქრობ, ყველა ზემოთ აღნიშნულის გათვალისწინებით, სკოლა მზად არის მეორე სემესტრის დასაწყისში განაცხადი შეიტანოს ავტორიზაციაზე, რაც საშუალებას მოგვცემს აკადემიაში 2022 წლის სექტემბრიდან DP პროგრამის სწავლება დავიწყოთ. რა თქმა უნდა, აღნიშნული პროცესის წარმატებულად წარმართვისთვის, სასკოლო საზოგადოების თითოეული წევრის აქტიური ჩართულობა და თანამშრომლობა უმნიშვნელოვანესია. მიუხედავად ყველაფრისა, ძალიან კმაყოფილი ვარ იმ პროგრესით, რასაც სკოლაში ერთობლივი თანამშრომლობით ვაღწევთ და დარწმუნებული ვარ ერთმანეთის მუდმივი მხარდაჭერით ჩვენ შევძლებთ ავტორიზაციის მოპოვებას.

საუკეთესო სურვილებით,

ჯოშუა გარნერი

ბრიტანულ-ქართული აკადემიის IB სადიპლომო პროგრამის ხელმძღვანელი

პირბადეები

MASK UP!



შეგახსენებთ, რომ აკადემიაში პირბადის ტარება სასკოლო საზოგადოების თითოეული წევრისათვის სავალდებულოა. მშობლებს გთხოვთ, რომ მოსწავლეებს ყოველდღიურად გამოატანოთ პირბადეები. არ ქონის შემთხვევაში, რა თქმა უნდა სკოლა უზრუნველყოფს მოსწავლეს პირბადით, თუმცა მნიშვნელოვანია, რომ მოსწავლეებმა

სახლიდან ატარონ საკმარისი რაოდენობის პირბადეები და დღის განმავლობაში რამდენჯერმე გამოცვალონ ის.

საშობაო საქველმოქმედო აქცია

საახალწლო და საშობაო დღესასწაულებზე, ტრადიციულად, აკადემიის სასკოლო საზოგადოების წევრები საქველმოქმედო ღონისძიებებისათვის ემზადებიან. 1-15 დეკემბერს აკადემიის დერეფნებში განთავსდება ყუთები, სადაც მოსწავლეებს შეეძლება თბილი ტანსაცმლის, საახალწლო ტკბილეულისა და საახალწლო მოსართავების მოგროვება. შეგროვებული ნუგბარი და საჩუქრები კი ბავშვთა თავშესაფარის აღსაზრდელებს გაეგზავნებათ.



საუნივერსიტეტო მრჩეველი

მოსარულეები ვართ გაცნობით, რომ ბრიტანულ-ქართულ აკადემიის გუნდს შემოუერთდა ახალი საუნივერსიტეტო მრჩეველი - თათია ობოლაძე. თათიას ქართულ და უცხოურ წამყვან უნივერსიტეტებში სწავლისა და საერთაშორისო პროექტების მართვის დიდი გამოცდილება აქვს. ის გახლავთ თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის უნივერსიტეტისა და სან დიეგოს უნივერსიტეტის ლექტორი და ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის ახალგაზრდა მეცნიერი. ამჟამად, თათია მუშაობს პარიზის სორბონის უნივერსიტეტისა და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ერთობლივ სადოქტორო პროექტზე. თათია ასევე გახლავთ King's College London-ის პროგრამის კურსდამთავრებული და სხვადასხვა საერთაშორისო დონორის მიერ დაფინანსებული კვლევითი პროექტის მონაწილე.

თათია უკვე აქტიურად ჩაერთო მეთორმეტე კლასელების საუნივერსიტეტო მხარდაჭერის პროცესში. უახლოეს პერიოდში ის გამართავს შეხვედრებს საშუალო საფეხურის მოსწავლეებსა და მათ მშობლებთან.

X-XII კლასელების დაჯილდოების ცერემონია

16 დეკემბერს აკადემიაში იგეგმება დამამთავრებელი საფეხურის მოსწავლეების დაჯილდოების ღონისძიება. ღონისძიებაზე დაჯილდოვდებიან მეთორმეტე კლასელების ის მოსწავლეები, როლებმაც 2020-21 სასწავლო წელს გამოიჩინოდნენ განსაკუთრებული აკადემიური წარმატებითა და მონდომებით.

სკოლამდელი განათლების ცენტრისა და 1-5 კლასების მოსწავლეების საშობაო კონცერტები

მოსარულეები ვართ გაცნობით, რომ წელს მოგვეცა შესაძლებლობა დაწყებითი საფეხურის მშობლები საშობაო ღონისძიებებზე სკოლის კამპუსის ტერიტორიაზე მოგიწვიოთ. სკოლამდელი განათლების ცენტრის სპექტაკლი და I-V კლასების საშობაო კონცერტები აკადემიის სპორტული დარბაზის სცენაზე გაიმართება. არსებული ეპიდსიტუაციის შესაბამისი უსაფრთხოების მკაცრი ზომების დაცვით. პროცედურებისა და რეგულაციების შესახებ დეტალურ ინფორმაციას მოგვიანებით წერილობით მიიღებთ. უზომოდ გვიხარია, რომ გრძელვადიანი ჰაუზის შემდეგ, კვლავ მოგვეცემა საშუალება თქვენს წინაშე ცოცხალი შესრულებით წარვსდგეთ.



მშობელთა ინფორმირების პროცედურა სკოლაში დადასტურებული შემთხვევის შესახებ

შეგახსენებთ, რომ გაცნობით, რომ თუ სასკოლო საზოგადოების ნებისმიერ წევრს უდასტურდება კოვიდ ინფექცია, ვმოქმედებთ წინასწარ დადგენილი, ჯანდაცვის სამინისტროსთან შეთანხმებული რეგულაციების მიხედვით. დადასტურებული შემთხვევის შესახებ ინფორმაციის მონოდებისთანავე (მათ შორის, არასამუშაო პერიოდში და შაბათ-კვირას) სკოლა დაუყოვნებლივ ატარებს რისკების სრულ შეფასებას, ახდენს ყველა იმ პირის იდენტიფიცირებას, რომელთანაც ინფიცირებულ პირს ჰქონდა ახლო კონტაქტი; პირველივე შესაძლებლობისთანავე ვატყობინებთ სპეციალურად ჩვენთვის ჯანდაცვის სამინისტროს მიერ გამოყოფილ ეპიდემიოლოგს და მისგან ვიღებთ რეკომენდაციებს შემდგომი ქმედებების შესახებ კლასის დისტანციურად გადაყვანის, კონტაქტების და თვით-იზოლაციის შესახებ. დადასტურებული შემთხვევის შესახებ ინფორმაციას პირველივე შესაძლებლობისთანავე ვატყობინებთ ახლო კონტაქტში მყოფი მოსწავლეების მშობლებსაც.

მარიამ შურღაია

აკადემიური დირექტორი



ჯოშუა გარნერი

საბაზო-საშუალო საფეხურის (6-12 კლასების) ხელმძღვანელი

ლინდა ციციშვილი

IB პროგრამების კოორდინატორი, 9-10 კლასების ხელმძღვანელი

ლელა ქისტაური

დაწყებითი საფეხურის (სკოლამდელი განათლების ცენტრი და 1-5 კლასები) ხელმძღვანელი

ლალი გელაშვილი

6-8 კლასების ხელმძღვანელი

სალომე დანელია

ადმინისტრაციის ხელმძღვანელი

თათია მამაცაშვილი

ადამიანური რესურსების კოორდინატორი

ნონა სურგულაძე

მარკეტინგისა და კომუნიკაციების კოორდინატორი

თამთა წერეთელი

ადმინისტრაციული ასისტენტი

ინოლა ნიკაჭაძე

ადმინისტრაციული ასისტენტი